ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15223048**

თარიღი:**31/10/2022**

„მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელი“-ს ფარგლებში გრანტის მიღებასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, „მუნიციპალიტეტებისთვის გრანტის მიღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 განკარგულებისა და ამავე განკარგულებაში ცვლილებების შესატანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2674 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ფარგლებში გამოცხადებულ „მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის“ კონკურსში 200 000 (ორასი ათასი) ევრომდე მოპოვებული გრანტის მიღებასა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი